

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის სხდომის
ოქმი №12

ქ. აბაშა, 2018 წლის 19 ოქტომბერი

სხდომის ადგილი: აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა
(ქ. აბაშა, უ. კაჭარავას №1).

სხდომა დაიწყო: 10:30 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა: აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-
საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე გოდერძი კუპრავა.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ელვარდი ნოდია, ზაზა გაბელაია, შოთა
ჭანტურაია და ბენია პიტავა.

სხდომას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: კოკი ჩაჩავა, მერაბ მელია და ზურაბ
შუბლაძე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ
კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი და დააყენა კენჭისყრაზე.

დღის წესრიგი

1. „აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის ანგარიში 2018
წლის II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ“

მომხს: გ. კუპრავა

კომისიამ კენჭი უყარა დღის წესრიგს (მომხრე - 5; წინააღმდეგი -0) და განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს :

1. „აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის ანგარიში 2018 წლის II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ“

მომხს: გ. კუპრავა

1. მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის ანგარიში 2018 წლის II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ“

აზრი გამოთქვეს: ე.ნოდიაშვილი და ბ.პიტავამ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე -5; წინააღმდეგი -0) აბაშის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ

დაადგინა:

განკარგულების პროექტი - „აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის ანგარიში 2018 წლის II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ“ გატანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი ამოწურულ იქნა და კომისიის სხდომა დახურულად გამოცხადდა 10:50 საათზე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე:

გ. კუპრავა